ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №76

6 მარტი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების

განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-11 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- თამაზ ჯინჭარაძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

- დავით შარაშიძე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

- ზურაბ ჩანტლაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

- გია გიორგაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

- ვლადიმერ გოგიბერიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– მარინა ბერაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი.

2. დაევალოს სატენდერო კომისიას (საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად) განახორციელოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისა და ელექტრონული ტენდერების საშუალებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 ივნისის ბრძანება №163– „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*